ივან ტურგენევი

მუმუ

მოსკოვის ერთ განაპირა ქუჩაზე, თეთრსვეტებიან, ანტრესოლიან რუხ სახლში, აივანი რომ გვერდზე ჰქონდა გადაბრეცილი, ოდესღაც დაქვრივებული ქალბატონი ცხოვრობდა დიდძალი შინაყმით. ქალები დათხოვებული ჰყავდნენ, ვაჟიშვილები პეტერბურგში მსახურობდნენ. სახლიდან იშვიათად გადიოდა. მარტოობაში ატარებდა თავისი მწირი, უღიმღამო სიბერის უკანასკნელ წლებს. უკვე დიდი ხნის გასული იყო მისი უსიხარულო და ავდრიანი ცხოვრების შუადღე, მაგრამ მწუხრიც ბნელზე დასდგომოდა ბედშავს.

ქვრივის მოჯალაბეთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა მეეზოვე გერასიმე, თორმეტვერშოკიანი გოლიათური აღნაგობის ვაჟკაცი, დაბადებით ყრუ-მუნჯი. ქალბატონმა გერასიმე სოფლიდან ჩამოიყვანა, სადაც იგი, ძმებს გამოყოფილი, მარტო ცხოვრობდა პატარა ქოხში და თითქმის ყველაზე შეძლებულ ყმა გლეხად ითვლებოდა. არაჩვეულებრივი ძალ-ღონის მქონე გერასიმე ოთხი კაცის საქმეს აუდიოდა; მადლიანი მუშაობა იცოდა, ვეება ხელებით კავს ჩაჭიდებული რომ ხვნას შეუდგებოდა, ერთ რამედ მისი ყურება ღირდა, გეგონებოდათ, ცხენი არც ეხმარება, თვითონ, საკუთარი ძალით უპობს მიწას აფუებულ მკერდსო; საპეტრეპავლოდ სამკალში ისე იქნევდა ცელს, რომ ლამის გვარიანად წამოზრდილ არყნალსაც კი გაკაფავდა; სამარშინიან საცეხვ კეტს რომ თავისებურად მარჯვედ და შეუჩერებლად სცემდა ხოლმე, მხრების მოგრძო და მკვრივი კუნთები ბერკეტივით დაუდიოდა. მუდმივი დუმილი რაღაც საზეიმო დიდებულებას მატებდა მის მოუღლელ შრომას. ღირსეული გლეხკაცი იყო, და მისი უბედურება რომ არა, რომელიც გნებავთ გოგო სიხარულით გაჰყვებოდა ცოლად... მაგრამ აი ჩამოიყვანეს გერასიმე მოსკოვში, უყიდეს ჩექმები, შეუკერეს საზაფხულოდ ხიფთანი, საზამთროდ ტყაპუჭი, მისცეს ხელში ცოცხი, აქანდაზი და გაამწესეს მეეზოვედ.

პირველ ხანებში ძალიან არ მოეწონა გერასიმეს ახალი ცხოვრება, ის ხომ ბავშვობიდანვე მიწაზე შრომას, სოფლის ყოფას იყო მიჩვეული, თავისი უბედურების გამო ადამიანთა ურთიერთობას მოწყვეტილი მუნჯი გოლიათი ისე გაიზარდა, როგორც ხე იზრდება ბარაქიან მიწაზე... ქალაქად გადასახლებულს ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის თავს, _ ხალისწართმეული და გაოგნებული იყო, როგორც ჯან-ღონით სავსე მოზვერი, უცბად რომ მოწყვიტეს მდელოს, ლორთქო, წელამდე მოსულ ბალახს, შეაგდეს რკინიგზის ვაგონში და გააქანეს; კვამლი ევლება და ნაპერწკლები აცვივა მის ჩაკირულ სხეულს, ორთქლი ტალღებად ზედ ეფინება, მას კი მიაქანებენ ხმაურით, წივილით, ღმერთმა უწყის, საით! მძიმე გლეხური შრომის შემდეგ გერასიმეს თავისი ახალი საქმე თამაშად მიაჩნდა: ნახევარ საათში უკვე ყველაფერი მზად ჰქონდა ხოლმე. მერე ან შუა ეზოში დადგებოდა და გამვლელ-გამომვლელს აჩერდებოდა პირდაღებული, თითქოს მათგან მოელოდა თავისი

უცნაური მდგომარეობის ახსნას, ან უცბად სადმე მიეფარებოდა, ცოცხსა და აქანდაზს შორს მოისვრიდა, პირქვე დაემხობოდა მიწაზე და საათობით უძრავად იწვა გალიაში გამოკეტილი ნადირივით. მაგრამ ადამიანი ყველაფერს ეჩვევა და გერასიმეც მიეჩვია ქალაქურ ცხოვრებას. საქმე ცოტა ჰქონდა: ეზო უნდა სუფთად ჰქონოდა, დღეში ორჯერ კასრით წყალი უნდა მოეტანა, სახლისა და სამზარეულოსათვის შეშა უნდა მოეზიდა და დაეპო, კიდევ _ უცხო არავინ უნდა შემოეშვა და ღამ-ღამობით ედარაჯა. უნდა ითქვას, რომ თავის მოვალეობას გერასიმე გულმოდგინედ ასრულებდა: ეზოში რამე ნაფოტსაც კი ვერ იპოვიდით დაგდებულს. თუ წვიმების დროს სადმე ჯაგლაგ ცხენიანი წყლის საზიდარი ჩაუვარდებოდა, ერთი მხრის შეტოკება საკმარისი იყო, რომ თავის ცხენიანად ამოეტანა; ახლა თუ შეშის ჩეხვას დაიწყებდა, ნაჯახი ბროლივით წკრიალებდა მის ხელში და შეშის ნაპობ-ნამსხვრევები ირგვლივ ცვიოდა. მის დარაჯობაზე რაღა გითხრათ! მას შემდეგ, რაც ერთხელ ორი ქურდი დაიჭირა და ერთმანეთს ისე შეატაკა შუბლით, რომ პოლიციაში წაყვანა აღარც დასჭირვებიათ, მთელს უბანში პატივსაცემი კაცი შეიქნა. ვინმე ავაზაკი კი არა, უბრალოდ, უცნობი გამვლელებიც კი ფრთხებოდნენ მრისხანე მეეზოვის დანახვაზე. ხელის ქნევით და ყვირილით აუწყებდნენ, რომ სამტროდ არ იყვნენ მოსული. შინაურებთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდაო, ამას ვერ ვიტყვით, _ ყველას ეშინოდა მუნჯის, _ უბრალოდ, იგი მათ თავისიანებად თვლიდა. ნაცნობები ხელით ან სახის გამომეტყველებით ანიშნებდნენ ხოლმე სათქმელს. გერასიმე ხვდებოდა და ზუსტად ასრულებდა ყველა ბრძანებას. მაგრამ თავისი უფლებებიც კარგად იცოდა და სუფრასთან მისი ადგილის დაკავებას ვერავინ გაბედავდა. საერთოდ, გერასიმე სერიოზული და მკაცრი კაცი იყო, ყველაფერში წესრიგის მოყვარე; მამლებიც კი მისი თანდასწრებით ჩხუბს ვერ ბედავდნენ. მტრისას! წაავლებდა ფეხებში ხელს, დაატრიალებდა ერთი ათჯერ ჰაერში ბზრიალასავით და ისროდა სხვადასხვა მხარეს. ეზოში ქალბატონს ბატებიც დაუდიოდა; მოგეხსენებათ, ბატი მედიდური და დარბაისელი ფრინველია; გერასიმეს ისინი პატივისვემის გრძნობას აღუძრავდნენ, უვლიდა, აპურებდა; თავადაც დინჯ ბატს წააგავდა. გერასიმეს სამზარეულოს თავზე პატარა ოთახი მისცეს: თავად მოიწყო შიგ ყველაფერი თავისი გემოვნების მიხედვით. მუხის ფიცრებისგან საწოლი შეკრა და ოთხ ჯირკზე დადგა, ნამდვილი გოლიათის საწოლი იყო, ას ფუთს გაუძლებდა. ლოგინქვეშ ზანდუკი ჰქონდა; კუთხეში ასეთივე უძრავი მაგიდა ედგა, მაგიდასთან კი სამფეხა სკამი, ისეთი მყარი და საიმედო, რომ თავად გერასიმე ასწევდა ხოლმე, გააგდებდა ხელიდან და ჩაიცინებდა. ოთახს კალაჩის მოყვანილობის შავ ბოქლომს ადებდა, გასაღებს კი მუდამ თან ატარებდა ქამარზე ჩამოკიდებულს. არ უყვარდა დაუკითხავად მომსვლელნი.

წლისთავზე გერასიმეს ერთი პატარა ამბავი შეემთხვა.

მოხუცი ქალბატონი, ვისთანაც გერასიმე მეეზოვედ იყო, ყველაფერში ძველ ადათ-წესებს მისდევდა და ამიტომ შინამოსამსახურეებიც ბლომად ჰყავდა: მრეცხავებიო, მკერავებიო, დურგლებიო, თერძებიო, ასე გასინჯეთ, ერთი მეუზანგეც კი ჰყავდა, თვითონვე ითვლებოდა ბეითლად და შინაყმების მკურნალად, გარდა ამისა, შინაური ექიმი ჰყავდა თავისთვის, დაბო-

ლოს, ერთი მეწაღეც, სახელად კაპიტონ კლიმოვი, ლოთზე ლოთი კაცი. კლიმოვს თავი დამცირებულ და ღირსებისდაგვარად დაუფასებელ არსებად, განათლებულ, სატახტო ქალაქის შესაფერ ადამიანად მიაჩნდა. მე აქ, მოსკოვში, სადღაც გადაკარგულში არ უნდა ვიჯდე უსაქმოდ, თუ ვსვამ, სწორედ დარდის გასაქარვებლად ვსვამო, ამბობდა სევდამორეული და მკერდზე მჯიღს იცემდა. აი, ერთხელ ამ მეწაღეზე ჩამოვარდა საუბარი ქალბატონსა და მის მთავარ სახლთუხუცეს გავრილას შორის. ამ გავრილას ჯერ მარტო ყვითელ თვალებზე და იხვის ნისკარტივით ცხვირზე შეატყობდით, რომ განგებისგან იმთავითვე უფროსობა ეწერა. ქალბატონი კაპიტონის ზნეობას უჩიოდა. ის-ის იყო, სადღაც ქუჩაში ეპოვათ გალეშილი.

_ როგორ ფიქრობ, გავრილა, _ თქვა უცებ ქალბატონმა, _ ცოლი ხომ არ შეგვერთო? იქნებ დაჭკვიანდეს.

_ რატომაც არა, ქალბატონო! შეიძლება, _ უპასუხა გავრილამ, _ ძალიანაც კარგი იქნება.

_ კი, მაგრამ ვინ წაჰყვება?

_ რა თქმა უნდა, ქალბატონო. თუმცა, როგორც ინებებთ. რაც უნდა იყოს, რომ იტყვიან, რაღაცაში მაინც გამოდგება: მთლად გადასაგდები არ არის.

_ მგონი ტატიანა მოსწონს.

გავრილას რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ენას კბილი დააჭირა.

_ ჰო... დანიშნოს ტატიანა. _ გადაწყვიტა ქალბატონმა და სიამოვნებით იყნოსა ბურნუთი. _ გესმის?

_ მესმის, ქალბატონო, _ მიუგო გავრილამ და დაეთხოვა.

გავრილა დაბრუნდა ფლიგელში. მოჭედილი ზანდუკებით სავსე თავის ოთახში. ჯერ ცოლი გამოისტუმრა გარეთ, მერე ფანჯარასთან მიჯდა და ჩაფიქრდა. ქალბატონის მოულოდნელმა განკარგულებამ იგი, როგორც ჩანდა, საგონებელში ჩააგდო. ბოლოს წამოდგა და ბრძანა კაპიტონი ეხმოთ... მაგრამ ვიდრე მათ საუბარს გადმოგცემდეთ, ურიგო არ იქნება, ორიოდე სიტყვით გიამბოთ, ვინ იყო კაპიტონის საცოლედ შერჩეული ეს ტატიანა და რატომ შეაცბუნა სახლთუხუცესი ქალბატონის განკარგულებამ.

ზემოთაც მოგახსენეთ, რომ ტატიანა მრეცხავად მსახურობდა, თუმცა მას, როგორც დახელოვნებულ და განსწავლულ მრეცხავს, მხოლოდ ფაქიზი თეთრეული ებარა. იგი ასე ოცდარვა წლის ტანმორჩილი, გამხდარი ქერა ქალი იყო. მარცხენა ლოყაზე ხალები ჰქონდა, რაც რუსეთში უიღბლო ცხოვრების მომასწავებელ ავ ნიშნად არის მიჩნეული. ტატიანას ცხოვრებაც არ იყო სახარბიელო, ყმაწვილქალობიდანვე ჩაგრავდნენ საბრალოს; ორი ქალისას საქმეს აკეთებდა, მაგრამ ალერსიანი სიტყვა არავისგან ახსოვდა; უხეიროდ აცმევდნენ და ჯამაგირსაც ყველაზე ცოტას იღებდა; შეიძლება ითქვას, რომ ნათესავები არ ჰყავდა: უხეირობის მიზეზით სოფელში დატოვებული ერთი მეკუჭნავე ბიძად მოხვდებოდა, სხვა ბიძები მიწის მუშა ყმები იყვნენ _ ეს იყო და ეს. ოდესღაც ლამაზი ქალის სახელი ჰქონდა, მაგრამ სილამაზე მალე ჩამოერეცხა. ძალზე მშვიდი, უკეთ რომ ვთქვათ, მოშიში, საკუთარი თავის მიმართ სავსებით გულგრილი ქალი გახლდათ, ყველასი ეშინოდა. მისი საზრუნავი მხოლოდ ის იყო, როგორმე სამუშაო დროზე მოემთავრებინა. ხმას არავის სცემდა და ქალბატონის სახელის გაგონებაზეც კი შიშით

კანკალებდა. ქალბატონს კი იგი თითქმის თვალითაც არ ენახა. გერასიმე რომ სოფლიდან ჩამოიყვანეს, ამ გოლიათის დანახვაზე ქალს შიშისაგან კინაღამ გული წაუვიდა. ცდილობდა, როგორმე არ შეხვედროდა, თვალსაც კი დახუჭავდა ხოლმე ზოგჯერ, როცა სამრეცხაოში მიმავალი ჩაურბენდა. გერასიმე პირველ ხანებში არც აქცევდა მას განსაკუთრებულ ყურადღებას, მერე ჩაუცინებდა ხოლმე, როცა შეხვდებოდა, და, ბოლოს, თვალს აღარ აშორებდა. შეუყვარდა ქალი გერასიმეს. მისმა მშვიდმა სახემ მოხიბლა თუ მოკრძალებულმა მიხრა-მოხრამ _ ღმერთმა იცის! ერთხელ ტატიანა ეზოში გამოვიდა. გაშლილ თითებზე ქალბატონის გახამებული კოფთა გადაეფინა და ფრთხილად მიჰქონდა... უცებ ვიღაცამ მაგრად ჩაავლო იდაყვში ხელი; მოიხედა და შეჰკივლა: უკან გერასიმე იდგა. ბრიყვივით იცინოდა, ალერსიანად ზმუოდა და თაფლისკვერის ფრთებმოოქრულ მამალს უწვდიდა ქალს. ტატიანას ჯერ უარის თქმა უნდოდა, მაგრამ გერასიმემ ძალად ჩასჩარა ხელში, თავი გაიქნია, გაეცალა, მერე მოიხედა და ისევ დაიზმუვლა რაღაც ძალზე საალერსო. ამის შემდეგ იგი ქალს აღარ ასვენებდა: სადაც არ უნდოდა წასულიყო, გერასიმე მის წინ გაჩნდებოდა ხოლმე, უღიმოდა, ზმუოდა, ხელებს იქნევდა, ხან რაღაც ბაფთას ამოიღებდა უბიდან და ხელში ჩაუდებდა, ხან ცოცხით მის წინ მტვერს მოჰგვიდა. საწყალმა გოგომ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რა ექნა. მალე მთელმა სახლმა შეიტყო მუნჯი მეეზოვის ამბები. დაუწყეს ტატიანას დაცინვა, გაქილიკება, გაშაირება. გერასიმეს კი ვაგლახად ვერაფერს ჰკადრებდნენ, ხუმრობა არ უყვარდა. მისი თანდასწრებით ქალსაც ვერაფერს უბედავდნენ. მოსწონდა თუ არ მოსწონდა ეს ამბავი, ეს კი იყო, რომ გოგო მუნჯის მფარველობაში მოხვდა. როგორც ყველა ყრუმუნჯი, გერასიმეც ძალზე გუმანიანი კაცი იყო და მშვენივრად ხვდებოდა, როცა მას ან ტატიანას დასცინოდნენ. ერთხელ სადილზე ტატიანას უფროსმა, მეთეთრეულემ, გოგოს, რომ იტყვიან, სული ამოართვა გადაკრული სიტყვებით. საწყალმა აღარ იცოდა, რა ექნა, ლამის იყო, სიმწრისაგან იტირა. გერასიმე უცბად წამოდგა, შემართა თავისი ვეება ტორი, მეკუჭნავეს თავზე დაადო და გააფთრებულმა ისეთი თვალებით შეხედა, რომ ქალი პირდაპირ ზედ გაეკრა მაგიდას. ყველა გაჩუმდა. გერასიმემ ისევ აიღო კოვზი და შჩის ხვრეპა განაგრძო. «შეხედე ერთი ამ ყრუ ეშმაკს, ქაჯს!» _ აბუტბუტდა ყველა. მეთეთრეულე ადგა და საქალებოში გავიდა. სხვა დროს გერასიმემ შეამჩნია, კაპიტონი, სწორედ ის კაპიტონი წეღან რომ მოგახსენებდით, რაღაც თავაზიანად ემასლაათებოდა ტატიანას, თითით მოიხმო, საეტლე ფარდულში შეიყვანა, იქვე კუთხეში მიყუდებულ ხელნას ბოლოში ხელი წაავლო და წყნარად, მაგრამ მრავლისმეტყველად დაემუქრა. ამის შემდეგ ტატიანას ხმას ვეღარავინ სცემდა. მუნჯს ყველაფერი გაუდიოდა. მართალია, მეთეთრეულე მაშინ, როგორც მიირბინა საქალებოში, იმწამსვე გადაესვენა და საერთოდ ისე იმარჯვა, რომ გერასიმეს უხეში საქციელის ამბავმა ქალბატონის ყურამდე იმავე დღეს მიაღწია; მაგრამ თავნება დედაბერმა გაიცინა მხოლოდ, თან ამით შეურაცხყოფილ მეთეთრეულეს რამდენჯერმე მოაყოლა, როგორ დაადებინა მუნჯმა თავისი მძიმე ტორით თავი სუფრაზე, მეორე დღეს კი გერასიმეს მანეთიანი გაუგზავნა საჩუქრად, როგორც ერთგულსა და ძლიერ დარაჯს. გერასიმეს ქალბატონის გვარიანად ეშინოდა. მაგრამ მი-

სი წყალობის იმედი ჰქონდა და უკვე აპირებდა ეთხოვა, ტატიანას შერთვის ნებას ხომ არ დამრთავთო. მხოლოდ სახლთუხუცესის შეპირებულ ახალ ხიფთანს ელოდებოდა, რომ წესიერად ხლებოდა ქალბატონს. სწორედ ამ დროს ქალბატონს აზრად მოუვიდა ტატიანა კაპიტონისთვის მიეთხოვებინა.

მკითხველი ახლა ადვილად მიხვდება, რა საგონებელში ჩავარდა სახლთუხუცესი გავრილა ქალბატონთან საუბრის შემდეგ. «ქალბატონი, რა თქმა უნდა, წყალობს გერასიმეს (გავრილამ ეს კარგად იცოდა, ამიტომაც ყველაფერს უამინებდა), _ ფიქრობდა იგი ფანჯარასთან მიმჯდარი, _ მაგრამ მაინც ხომ უენო არსებაა: ხომ ვერ ვეტყვი ქალბატონს, ასე და ასეა საქმე, გერასიმეს მოსწონს ტატიანა-მეთქი, ბოლოსდაბოლოს რა ქმარი ეგ იქნება? მეორე მხრივ, ერთი რომ გაიგოს, ღმერთო, ნუ მიწყენ, მაგ ტარტაროზმა, ტატიანას კაპიტონს ატანენო, ხომ დალეწა მთელი სახლი. განა რამეს შეაგნებინებ მაგ ქაჯს, ღმერთო შეგცოდე, მე ცოდვილმა, ვერა საშუალებით ვერ დაიყოლიებ... ნამდვილად!..»

კაპიტონის გამოჩენამ ფიქრი შეაწყვეტინა გავრილას. ქარაფშუტა მეწაღე შემოვიდა, ხელები უკან დაილაგა, არხეინად მიეყრდნო კართან კედლის კუთხეს, მარჯვენა ფეხი მარცხენის წინ გადააჯვარედინა და ყელი მოიღერა, ვითომ, აქ გახლავართ, რა გნებავთო.

გავრილამ კაპიტონს შეხედა და თითები ფანჯრის რაფაზე აათამაშა. კაპიტონმა მხოლოდ ოდნავ მოჭუტა თავისი კალისფერი თვალები, ძირს არც დაუხრია, ჩაიცინა კიდეც და გამოხუნებულ გაჩეჩილ თმებზე ხელი გადაისვა: ჰო, მე ვარო, მე, რას მიყურებო.

_ კარგი რამა ხარ, _ ჩაილაპარა გავრილამ და გაჩუმდა. _ კარგი ხარ, ვერაფერს ვიტყვი!

კაპიტონმა მხოლოდ მხრები შეათამაშა. «ერთი შენა ხარ უკეთესი!» _ გაიფიქრა გუნებაში.

_ თავზე დაიხედე, თავზე, _ უსაყვედურებდა გავრილა, _ რას გავხარ?

კაპიტონმა წყნარად დაიხედა გაცვეთილ, დაგლეჯილ სერთუკზე, დაკერებულ შარვალზე, განსაკუთრებული ყურადღებით დაათვალიერა ძირგავარდნილი ჩექმები, ნამეტნავად ის, მარჯვენა ფეხს ასე დარდიმანდულად რომ აყრდნობდა ზედ და ისევ მიაჩერდა სახლთუხუცესს.

_ რა მოხდა?

_ რა მოხდა? _ გაიმეორე გავრილამ. _ რა მოხდა? შენ კიდევ კითხულობ, რაო? ეშმაკსა გავხარ, ღმერთო,შეგცოდე, მე ცოდვილმა. ნამდვილად ეშმაკს გავხარ.

კაპიტონმა თვალები თაღლითივით ააპარპალა.

«იყვირე და ილანძღე, გავრილა ანდრეიჩ», _ გაიფიქრა მან გუნებაში.

_ ისევ ილოთე, არა, _ დაიწყო გავრილამ, _ ისევ ხომ? ა? მიპასუხე.

_ სუსტი ჯანმრთელობის გამო მართლაც მივიღე სპირტიანი სასმელები, _ თავი იმართლა კაპიტონმა.

_ სუსტი ჯანმრთელობა!.. არ მოგხვედრია საკმარისად და ის არის; პიტერში კი იყავი შეგირდად... ბევრი რამეც შეისწავლე. მუქთადა ჭამ პურს.

_ ამ შემთხვევაში, გავრილა ანდრეიჩ, თვით უფალი ღმერთია ჩემი მსაჯული _ მეტი არავინ. მხოლოდ მან იცის, რა კაციცა ვარ ამა ქვეყანასა ზედა და მართლა მუქთად ვჭამ პურს თუ არა. რაც შეეხება ლოთობის შესახებ აზრს, ამ შემთხვევაშიც მე არა ვარ დამნაშავე, არამედ უფრო ერთი ამხანაგი; ჯერ მაცდუნა და მერე გაიპარა. მე კი...

_ შენ კი ქუჩაში დარჩი განა, ხვითო! ეჰ, შე ხელიდან წასულო, შენა! მაგრამ ამაზე არ დამიძახიხარ, _ განაგრძო სახლთუხუცესმა, _ აი, რა. ქალბატონს... _ აქ იგი გაჩუმდა, _ ქალბატონს სურს, რომ ცოლი შეირთო. გესმის? მიაჩნია, რომ ჭკუას მოეგები, თუ დაქორწინდები. გასაგებია?

_ რა თქმა უნდა.

_ მაშ, ჩემი აზრით, ჯობია ერთი მაგრად მოგკიდონ ხელი. თუმცა ეს ქალბატონმა უკეთ იცის. რას იტყვი? თანახმა ხარ?

კაპიტონი გაიკრიჭა.

_ ცოლის შერთვა კარგი საქმეა ადამიანისთვის, გავრილა ანდრეიჩ, და მეც, ჩემი მხრივ, დიდისაგან დიდი სიამოვნებით.

_ მაშ, ეგ არის, _ შეეჭვდა გავრილა და გაიფიქრა: «ვერაფერს იტყვი, დალაგებულად ლაპარაკობს კაცი», _ ოღონდ ეს არის, _ განაგრძო მან ხმამაღლა, _ რომ საცოლე გამოგინახეს საშარო.

_ ვინ არის, თუ შეიძლება გავიგოთ?..

_ ტატიანა.

_ ტატიანა?

კაპიტონმა თვალები დაჭყიტა და კედელს მოშორდა.

_ რას შეფუცხუნდი?.. არ მოგწონს?

_ როგორ არ მომწონს, გავრილა ანდრეიჩ! გოგოს არაფერი ეთქმის, მუშა, წყნარი გოგოა... მაგრამ თქვენც ხომ იცით, გავრილა ანდრეიჩ, ის ქაჯი, ტყის კაცი, ის ხომ იმ ქალს...

_ ვიცი, ჩემო ძმაო, ყველაფერი ვიცი, _ გაბეზრებულად შეაწყვეტინა სახლთუხუცესმა, _ მაგრამ...

_ კი მაგრამ, გავრილა ანდრეიჩ! ხომ მომკლავს, ღმერთმანი მომკლავს, ერთი ბუზივით გამსრესს; იმას ხომ ისეთი ხელი აქვს, თქვენ თვითონ განსაჯეთ, როგორი ხელი აქვს; ნამდვილი მინინისა და პოჟარსკის ხელი აქვს. ის ხომ ყრუა, ურტყამს და არც ესმის, როგორ ურტყამს! თითქოს სიზმარში იქნევდეს თავის უროსავით მუშტებს. ვერაფრით გააჩერებ; რატომ? იმიტომ, რომ თქვენ თვითონ იცით, გავრილა ანდრეიჩ, ყრუ არის და თანაც ბრიყვი, აი, ამ ქუსლივით. ეგ ხომ რაღაც ნადირია, კერპი, შეუსმენელი, გავრილა ანდრეიჩ, _ კერპზე უარესი... ხეა უძრავი: რატომ უნდა ვაწამებინო თავი? რა თქმა უნდა, ჩემთვის ახლა ყველაფერი სულერთია, გავღატაკდი, ჩამოვიძონძე კაცი, გავიზინტლე კოლომნური ქოთანივით, მაგრამ მაინც ხომ ადამიანი ვარ, მართლა უხეირო ქოთანი კი არა ვარ.

_ ვიცი, ვიცი, ნუ გააბი...

_ ღმერთო ჩემო! _ გრძნობით გაიძახოდა მეწაღე, _ როდის დადგება აღსასრული? როდის, ღმერთო! უბედური ვარ მე, უბედური, არ არის ჩემი საშველი! რა ბედი მაქვს, რა ბედი, რომ დავფიქრდები! სიყმაწვილის წლებში ვიქენ ჩემი გერმანელი უფროსისაგან ვიყავი, ნაცემი ჩემი ცხოვრების უკე-

თეს მონაკვეთში საკუთარი ძმის ხელით ვიქენ ნაცემი, და ამ მოწიფულობის წლებში რა დავიმსახურე...

_ აი, შე ლაჩარო, შენა. _ შემოუძახა გავრილამ. _ რა ენად გაიკრიფე, მართლა და მართლა!

_ როგორ თუ გავიკრიფე, გავრილა ანდრეიჩ! ცემის კი არ მეშინია, გავრილა ანდრეიჩ. ბატონო ჩემო, სახლში დამსაჯე და ხალხში სალამი მიბოძე, მაინც ადამიანებში ვეწერები, აქ კი ვისგან უნდა...

_ წადი, მოშორდი აქედან. _ მოუთმენლად შეაწყვეტინა გავრილამ. კაპიტონი შეტრიალდა და წაჩანჩალდა.

_ ვთქვათ, ის არ ყოფილიყო, _ მიაძახა სახლთუხუცესმა, _ შენ თვითონ თანახმა ხარ?

_ ვაცხადებ, _ მიუგო კაპიტონმა და წავიდა.

მჭევრმეტყველება უკიდურეს განსაცდელშიც კი არ ღალატობდა მეწაღეს.

სახლთუხუცესმა რამდენჯემე გაიარ-გამოიარა ოთახში.

_ აბა, ახლა ტატიანას დაუძახეთ, _ წარმოთქვა მან ბოლოს.

რამდენიმე წამის შემდეგ ტატიანა უხმოდ შემოვიდა და ზღურბლზე შეჩერდა.

_ რას მიბრძანებთ, გავრილა ანდრეიჩ? _ იკითხა მან წყნარად.

სახლთუხუცესი დაჟინებით მიაცქერდა მას.

_ აბა, _ თქვა მან, _ ტანიუშა. გათხოვება გინდა? ქალბატონმა სასიძო გიშოვა.

_ გისმენთ, გავრილა ანდრეიჩ. ვინ დამინიშნა ქალბატონმა სასიძოდ? _ დასძინა მან გაუბედავად.

_ კაპიტონი, მეწაღე.

_ კეთილი, ბატონო.

_ რაც მართალია, მართალია. ქარაფშუტა ადამიანია, მაგრამ ამ საქმეში ქალბატონს შენი იმედი აქვს.

_ კეთილი, ბატონო.

_ ერთი უბედურებაა... ეს ყრუ, გერასკა, ის ხომ შენ გეარშიყება. ნეტა რითი მოაჯადოვე ეგ დათვი? ალბათ კიდეც მოგკლავს. ეგ დათვი, ეგა...

_ მომკლავს, გავრილა ანდრეიჩ, აუცილებლად მომკლავს.

_ მოგკლავს... მაგრამ ამას კიდევ ვნახავთ. ამას როგორ ამბობ, მომკლავსო! განა აქვს რამე უფლება, რომ მოგკლას? თავად განსაჯე.

_ არ ვიცი, გავრილა ანდრეიჩ, აქვს თუ არა აქვს.

_ ამას უყურეთ! შენ მაგისთვის ხომ რამე პირობა არ მიგიცია...

_ რას ბრძანებთ?

სახლთუხუცესი გაჩუმდა.

_ «ეხ, შე უწყინარო ადამიანო», _ გაიფიქრა გავრილამ.

_ კარგი, _ დასძინა მან, _ ჩვენ კიდევ ვილაპარაკებთ ამაზე, ახლა კი წადი. ტანიუშა, როგორც ვხედავ, შენ კრავივითა ხარ.

ტატიანა შემობრუნდა, ოდნავ მიეყრდნო კარის წირთხლს და გავიდა.

«იქნებ ხვალ ქალბატონს კიდეც დაავიწყდეს ამ ქორწინების ამბავი, _ გაიფიქრა სახლთუხუცესმა. _ მე რაღამ ამაფორიაქა? იმ გიჟს კი მოვუვლით

როგორმე; თუ გაჭირდა, პოლიციას შევატყობინებთ...» _ უსტინია ფიოდოროვნა! _ დაუძახა ხმამაღლა თავის ცოლს, _ სამოვარი დაადგით, ჩემო პატივცემულო...

ტატიანა თითქმის მთელი ის დღე არ გამოსულა სამრეცხაოდან. ჯერ წაიტირა, მერე ცრემლი მოიწმინდა და მუშაობას შეუდგა. კაპიტონი გვიან ღამემდე იჯდა დუქანში ვიღაც მოღუშულ ძმაკაცთან ერთად და დაწვრილებით უყვებოდა მას, როგორ ცხოვრობდა პიტერში ერთ ბატონთან, რომელიც ყველაფრამდე კარგი იყო. წესრიგშიც წინ ვერავინ დაუდგებოდა, მაგრამ ერთი პატარა რაღაც ეშლებოდა ხოლმე: ზომაზე მეტს სვამდა, ქალთა სქესს რაც შეეხება, ზედ იყო გადაგებული... ის პირქუში ამხანაგი კვერს უკრავდა მხოლოდ; მაგრამ როცა ბოლოს კაპიტონმა განაცხადა, რომ ერთი შემთხვევის გამო ხვალვე უნდა თავი მოვიკლაო, პირქუშმა ამხანაგმა შენიშნა, ძილის დროაო, და ისინიც დაშორდნენ ერთმანეთს ტლანქად და უხმოდ.

სახლთუხუცესის მოლოდინი კი არ გამართლდა. ქალბატონი ისე გაეტაცა კაპიტონის დაქორწინების აზრს, რომ ღამე მხოლოდ ამაზე ლაპარაკობდა თავის ერთ-ერთ მხლებელთან, რომელიც საგანგებოდ უძილობის შემთხვევისათვის ჰყავდა და რომელსაც ღამის მეეტლესავით დღე ეძინა. ჩაის შემდეგ გავრილა რომ ეახლა ქალბატონს, პირველი კითხვა იყო, როგორ მიდის ჩვენი ქორწილის საქმეო. სახლთუხუცესმა, რა თქმა უნდა, უპასუხა, მეტი რომ არ შეიძლება, ისე კარგადო და კაპიტონი დღესვე გეახლებათ სააჯოდო. ქალბატონი შეუძლოდ იყო: საქმეები მალე მოითავა. სახლთუხუცესი თავის ოთახში დაბრუნდა და სათათბიროდ ხალხი შეკრიბა. საქმე საგანგებო ბჭობას მოითხოვდა. ტატიანა, რა თქმა უნდა, ხმას არ იღებდა: კაპიტონი კი საჯაროდ აცხადებდა, რომ მას ერთი თავი აქვს და არა ორი ან სამი... გერასიმე პირქუშად და სწრაფად ავლებდა ყველას თვალს, საქალებოს კარებს არ შორდებოდა, თითქოს ხვდებოდა, რომ რაღაც უბედურებას უმზადებდნენ. მოთათბირეთა შორის იყო ბებერი მებუფეტე, მეტსახელად ძია კუდი, რომელსაც ყველა მორიდებით სთხოვდა ხოლმე რჩევას, მიუხედავად იმისა, რომ მისგან მარტო ეს ესმოდათ: აი ასეა ეს, დიახ, დიახ, დიახ. პირველ ყოვლისა, უშიშრად რომ ყოფილიყვნენ, ყოველი შემთხვევისთვის კაპიტონი წყლის საწმენდი მანქანის ოთახში ჩაკეტეს, მერე მაგარ საფიქრალს მიეცნენ. რა თქმა უნდა, ძალის გამოყენება ადვილი იყო, მაგრამ, ღმერთმა დაიფაროს, ატყდებოდა ხმაური, ქალბატონი შეწუხდებოდა _ მტრისას! რა ექნათ? იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს მოიფიქრეს. ყველას შემჩნეული ჰქონდა, რომ გერასიმე ვერ იტანდა მთვრალებს... ზოგჯერ იჯდა ჭიშკართან, დაინახავდა ქუდმოღრეცილ, ბარბაცით მომავალ ნაყლაპ ვინმეს და იმწამსვე აღშფოთებული შეაქცევდა ზურგს. გადაწყვიტეს, ესწავლებინათ ტატიანასთვის თავი მოემთვრალებინა და გერასიმეს წინ ბარბაცით ჩაევლო. საბრალო გოგო დიდხანს მტკიცე უარზე იყო, მაგრამ ბოლოს დაითანხმეს, მისთვისაც ცხადი იყო, რომ სხვაგვარად თავს ვერ დაიხსნიდა მოტრფიალისაგან. ტატიანა წავიდა. კაპიტონი გამოუშვეს სამანქანოდან: რაც არ უნდა ყოფილიყო, საქმე მას ეხებოდა. გერასიმე იჯდა ჭიშკართან ჯირკზე და ნიჩბით მიწას ჩიჩქნიდა.... ყოველი კუთხიდან ფარდებს ამოფარებულნი უთვალთვალებდნენ მეეზოვეს მოჯალაბენი.

ეშმაკობამ დიდებულად გაჭრა. ტატიანა რომ დაინახა, ჯერ ჩვეულებისამებრ ალერსიანი ზმუილით დაუქნია თავი, მერე დააკვირდა, ნიჩაბი ხელიდან გაუვარდა, წამოხტა, მიუახლოვდა, სახეში ჩახედა... გოგო შიშისაგან უარესად დაბარბაცდა და თვალები დახუჭა... გერასიმემ ხელი ხელში ჩაავლო, მთელი ეზო გაარბენინა, შეიყვანა იმ ოთახში, სადაც მოთათბირენი ისხდნენ და ზედ მიუგდო კაპიტონს. ტატიანას სუნთქვა შეეკრა... გერასიმე შედგა, ერთი შეხედა გოგოს, მერე ხელი ჩაიქნია, ჩაიცინა და მძიმე ნაბიჯით გასწია თავისი სენაკისაკენ... მთელი დღე არ გამოსულა გარეთ. ფორეიტორი ანტიპკა ყვებოდა მერე, ჭუჭრუტანაში დავინახე, როგორ იჯდა გერასიმე საწოლზე ლოყაზე ხელმიდებული და ხმადაბლა, გაბმულად მღეროდაო, თან დროდადრო დაიზმუვლებდა, ირწეოდა, თვალებს ხუჭავდა და უცებ თავს გაიქნევდა ხოლმე ისე, მეეტლეებმა ან ბურლაკებმა რომ იციანო თავისი გულსაკლავი სიმღერის დროს. შეძრწუნებული ანტიპკა მოშორდა ჭუჭრუტანას. მეორე დღეს სენაკიდან გამოსულ გერასიმეს არაფერი ცვლილება არ ეტყობოდა. ეს იყო, რომ თითქოს კიდევ უფრო პირქუში გახდა, ტატიანას და კაპიტონს კი არავითარ ყურადღებას აღარ აქცევდა. იმავე საღამოს იღლიაში თითო ბატამოჩრილი დანიშნულები ქალბატონს ეახლნენ და ერთი კვირის შემდეგ კიდეც დაქორწინდნენ. ქორწილის დღესაც კი არაფერში დასტყობია გერასიმეს ცვლილება; მხოლოდ ის იყო, რომ მდინარიდან უწყლოდ დაბრუნდა: გზაზე რაღაცნაირად კასრი გაუტყდა; ღამე კი საჯინიბოში ისე გულმოდგინედ წმენდდა და ვარცხნიდა თავის ცხენს, რომ პირუტყვი მისი რკინის ტორებს ქვეშ ბალახის ღეროსავით ქანაობდა და წამდაუწუმ ფეხს იცვლიდა.

ეს ყველაფერი გაზაფხულზე მოხდა. გავიდა კიდევ ერთი წელი. ამასობაში კაპიტონი საბოლოოდ გალოთდა და როგორც ყოვლად უვარგისი ადამიანი, თავის ცოლთან ერთად აღალს გააყოლეს შორეულ სოფელში. წასვლის დღეს ჯერ თითქოს ნირს არ იცვლიდა და ყველას არწმუნებდა, სადაც არ უნდა გამაგზავნონ, თუნდაც იქ, სადაც ქალები პერანგებს რეცხავენ და ტაბუცს ცაზე შემოდებენ, მაინც არ დავიღუპებიო; მაგრამ შემდეგ ვაჟკაცობამ უღალატა, წუწუნი დაიწყო, გაუნათლებელ ხალხთან მაგზავნიანო, და ბოლოს ისე მოეშვა, რომ საკუთარი ქუდიც კი ვეღარ დაიხურა თავზე; ვიღაც გულმოწყალემ შუბლზე ჩამოუწია, წინაფრა გაუსწორა და ზემოდანაც ხელი დაჰკრა. როცა ყველაფერი მზად იყო, გლეხებს უკვე ხელთ ეპყრათ აღვირები და იმასღა ელოდნენ, რომ ეთქვათ, გზა მშვიდობისაო, გერასიმე გამოვიდა თავისი სენაკიდან, მიუახლოვდა ტატიანას და სახსოვრად ერთი წლის წინ მისთვის ნაყიდი ბამბის წითელი თავსაფარი გადასცა. ტატიანას, აქამდე უდიდესი გულგრილობით რომ იტანდა თავისი ცხოვრების ყველა განსაცდელს, ახლა კი უმტყუნა სიმტკიცემ, ცრემლი მოერია და ფორანზე დაჯდომის წინ ქრისტიანულად სამჯერ გადაკოცნა გერასიმე. მუნჯს უნდოდა ქალაქის ბოლომდე გაეცილებინა ტატიანა და ერთხანს გვერდით მისდევდა მის ფორანს, მაგრამ ყირიმის ფონთან უცბად შეჩერდა, ხელი ჩაიქნია და მდინარის ნაპირს გაჰყვა.

საღამოვდებოდა. გერასიმე ნელა მოდიოდა, თან წყალს უცქეროდა. უცებ მოეჩვენა, რომ ზედ ნაპირთან ლამში რაღაც ფართხალებდა. დაიხარა

და პატარა ლეკვი დაინახა, თეთრი, შავ-შავი ხალებით... ლეკვი ვერაფრით ვერ ამოსულიყო წყლიდან, წვალობდა, ნაპირს ეხლებოდა, მერე დაცურდებოდა, პაწია სველი და გამხდარი სხეული უთრთოდა. გერასიმემ დახედა საბრალოს, ცალი ხელით აიტაცა, ჩაისვა უბეში და დიდი ნაბიჯებით გასწია სახლისკენ. თავის სენაკში რომ მივიდა, გადარჩენილი ლეკვი საწოლზე დააწვინა და თავისი მძიმე არმიაკი წააფარა, მერე საჯინიბოში შეირბინა ბზისთვის, სამზარეულოდან კი ერთი ფინჯანი რძე მოიტანა. არმიაკი გადასწია, ბზე გადაშალა და რძე ლოგინზე დადგა. საწყალი ლეკვი ჯერ სამიოდე კვირისა იყო: თვალები ახალგახელილი ჰქონდა; ცალი თვალი მეორეზე ცოტათი დიდი მოუჩანდა; ფინჯნიდან დალევა ჯერ არ იცოდა, თვალებს ჭუტავდა და ცახცახებდა მხოლოდ. გერასიმემ ორი თითი დაადო თავზე და დრუნჩი რძეზე დაადებინა. ლეკვმა უცებ ხარბად დაიწყო სვლეპა, ფრუტუნით, ცახცახით, სულმოუთქმელად. უყურა, უყურა გერასიმემ და აუტყდა სიცილი... მთელი ღამე თავს დასტრიალებდა, აწვენდა, ამშრალებდა, ბოლოს მის გვერდით დაეძინა რაღაც ბედნიერი, მშვიდი ძილით.

არც ერთი დედა არ უვლის ისე პირმშოს, როგორც გერასიმე უვლიდა თავის პაწიას. ლეკვი ძუკნა გამოდა. პირველ ხანებში ძალზე სუსტი, გაწრიპული და ულამაზო ჩანდა, მაგრამ თანდათან მომჯობინდა, გაკეთდა და ერთი რვა თვის შემდეგ, თავისი მხსნელის დაუზარელი ზრუნვის წყალობით ესპანური ჯიშის მშვენიერი ძაღლი დადგა, გრძელი ყურები ჰქონდა, აპრეხილი ფუმფულა კუდი, გამომეტყველი დიდი თვალები. მთელი არსებით შეიყვარა გერასიმე, ნაბიჯზე არ სცილდებოდა. ყველგან თან დასდევდა კუდის ქიცინით. სახელიც კი მოუნახა გერასიმემ _ მუნჯებმა იციან, რომ მათი ზმუილი სხვების ყურადღებას იქცევს და მუმუ დაარქვა. მთელ სახლს შეუყვარდა, მუმუნიას ეძახდნენ. ძალზე ჭკვიანი ძაღლი იყო, ყველას ეთამაშებოდა. მაგრამ სიყვარულით მხოლოდ გერასიმე უყვარდა. გერასიმესაც თავდავიწყებით უყვარდა... ის კი არ სიამოვნებდა, სხვები რომ ეფერებოდნენ: ეშინოდა, არაფერს მოწიონო, ეჭვიანობდა თუ როგორ იყო, ღმერთმა უწყის! დილით მუმუ კალთაზე მოსწევდა და ისე აღვიძებდა ხოლმე თავის პატრონს, მერე აღვირით მოიყვანდა წყლის მზიდავ ბებერ ცხენს, რომლის დიდი მეგობარიც იყო, და დარბაისლური გამომეტყველებით მიჰყვებოდა ხოლმე გერასიმეს მდინარეზე. იგი ფხიზლად დარაჯობდა მუნჯის ცოცხებს, ნიჩბებს, მის სენაკს არავის აკარებდა. გერასიმემ საგანგებოდ მუმუსთვის კარში საძრომი გამოჭრა; ძაღლი თითქოს გრძნობდა, რომ მხოლოდ გერასიმეს სენაკში იყო იგი სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი და შესვლისთანავე კმაყოფილი გამომეტყველებით შეხტებოდა ხოლმე საწოლზე. ღამე საერთოდ არ ეძინა, მაგრამ უთავბოლოდ კი არ ყეფდა ზოგიერთი სულელი ეზოს ძაღლივით, უკანა ფეხებზე დაყუნცული, დრუნჩაწეული და თვალდახუჭული რომ შეჰყეფს ვარსკვლავებს, ისე, გასართობად და აუცილებლად სამჯერ ზედიზედ _ არა! მუმუს წკრიალა ხმას ვერასდროს გაიგონებდით ტყუილ-უბრალოდ: ან ვინმე უცხო მიუახლოვდებოდა ღობეს, ან სადმე საეჭვო ხმაური, ან ფაჩუნი ატყდებოდა... ერთი სიტყვით, ჩინებული გუშაგი იყო. ეზოში მის გარდა კიდევ იყო ერთი ლეგაწინწკლებიანი ყვითელი ბებერი ქოფაკი, სახელად ვოლჩოკი, მაგრამ ის დღე და ღამე ჯაჭვით იყო დაბმუ-

ლი და სიბერისაგან დაუძლურებულს აღარც ედარდებოდა თავისუფლება _ იწვა მოკალათებული თავის ჯიხურში და ხანდახან თუ წამოიყეფებდა თითქმის უხმოდ, ხავილით და მაშინვე დადუმდებოდა, თითქოს გრძნობდა, რომ ამას არაფერი სარგებლობის მოტანა არ შეეძლო. ბატონის სახლში მუმუ არ შედიოდა. გერასიმეს შეშა შეჰქონდა ოთახებში, ძაღლი ყურებდაცქვეტილი ელოდებოდა გარეთ, კართან, და ხან მარჯვნივ მოატრიალებდა თავს და ხან უცებ _ მარცხნივ, თუ რამე გაიფაჩუნებდა კარს უკან...

ასე გაიარა კიდევ ერთმა წელიწადმა. გერასიმე განაგრძობდა მეეზოვის საქმიანობას და ძალიან კმაყოფილიც იყო თავისი ბედით, რომ ერთი მოულოდნელი ამბავი არ მომხდარიყო. ერთ მშვენიერ ზაფხულის დღეს ქალბატონი თავის შიმუნვარებთან ერთად სასტუმრო ოთახში დასეირნობდა. კარგ გუნებაზე იყო, იცინოდა და ხუმრობდა; შიმუნვარებიც იცინოდნენ და ხუმრობდნენ, მაგრამ რაიმე განსაკუთრებულ სიხარულს ისინი ვერ გრძნობდნენ: სახლში მაინცდამაინც არ უყვარდათ, როცა ქალბატონი მხიარულ გუნებაზე იყო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ყველასგან დაუყოვნებლივ და სრულ თანაგრძნობას მოითხოვდა და ბრაზობდა, თუ ვინმეს სიამოვნებისაგან სახე არ უბრწყინავდა, მეორე კიდევ ის იყო, რომ ეს უეცარი ხალისი, მალე უქრებოდა და ჩვეულებრივ მოჟამული, მჟავე განწყობილებით შეეცვლებოდა ხოლმე. იმ დღეს რაღაც ბედნიერ ფეხზე ადგა; ქაღალდში ოთხი ვალეტი ამოუვიდა: სურვილების შესრულება (ყოველ დილით მკითხაობდა). ჩაიც განსაკუთრებით გემრიელი ეჩვენა, რისთვისაც პირისფარეშმა სიტყვიერი ქება და ფულად ორი შაური დაიმსახურა. დაპრანჭულ ტუჩებზე ტკბილი ღიმილით სასტუმრო ოთახში მოსეირნე ქალბატონი ფანჯარასთან მივიდა. ფანჯრის წინ ყვავილნარი იყო და სწორედ შუა კლუმბზე ვარდის ბუჩქის ქვეშ მუმუ შემძვრალიყო და გულმოდგინედ ღრღნიდა ძვალს. ქალბატონმა დაინახა ძაღლი.

_ ღმერთო ჩემო! _ წამოიძახა უცბად მან. _ ეს რა ძაღლია?

საწყალი შიმუნვარი, რომელსაც ქალბატონი შეეკითხა, აფორიაქდა იმ შემაღონებელი ფორიაქით, რომელიც სხვისი ხელის შემყურე ადამიანს დაეუფლება ხოლმე, როცა ჯერ კიდევ კარგად ვერ გარკვეულა, რას მოასწავებს პატრონის შენიშვნა.

_ ა... არ ვიცი, ქალბატონო, _ ჩაიბუტბუტა მან, _ მგონი მუნჯისაა.

_ ღმერთო ჩემო! _ შეაწყვეტინა ქალბატონმა, _ ეს ხომ მშვენიერი ძაღლია! უბრძანეთ მოიყვანონ. დიდი ხანია ჰყავს? როგორ მოხდა, რომ აქამდე ვერ დავინახე?... უბრძანეთ შემოიყვანონ.

შიმუნვარი მაშინვე დერეფანში გავარდა.

_ ბიჭო, ბიჭო! _ დაიძახა მან, _ საჩქაროდ მოიყვანეთ მუმუ! ყვავილებშია.

_ მუმუ რქმევია, _ თქვა ქალბატონმა, _ ძალიან კარგი სახელია.

_ ახ, ძალიან, _ კვერი დაუკრა შიმუნვარმა, _ ჩქარა, სტეფანე!

სტეფანე, ზორბა ბიჭი, ლაქიის თანამდებობა რომ ეკავა, კისრისტეხით გავარდა ყვავილნარისკენ და მუმუს დაჭერა მოინდომა, მაგრამ ძაღლი მარჯვედ დაუსხლტა ხელიდან და კუდაბზეკილმა მოკურცხლა გერასიმესკენ, რომელიც ამ დროს სამზარეულოსთან კასრს წმენდდა, ფხეკდა და საბავშვო

დოლივით ათამაშებდა ხელში. სტეფანე ფეხდაფეხ მიჰყვა ძაღლს და პატრონის ფეხებთან დააპირა მისი დაჭერა, მაგრამ მარდი ძაღლი უცხოს არ ნებდებოდა, ხტოდა და სხმარტალებდა. გერასიმე გაღიმებული უყურებდა ამ ძიძგილაობას; ბოლოს სტეფანე იმდეგადაწყვეტილი წამოდგა და საჩქაროდ აუხსნა გერასიმეს ნიშნებით, ქალბატონი შენს ძაღლს თავისთან ითხოვსო. გერასიმეს ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, მაგრამ მუმუ მოიხმო, ხელში აიყვანა და სტეფანეს გადასცა. სტეფანემ იგი სასტუმროში მიიყვანა და პარკეტზე დააყენა. ქალბატონმა ძაღლი ალერსიანი ხმით მოიხმო. მუმუს თავის დღეში არ ენახა ასეთი დიდებული ოთახები, ძალიან შეშინდა და კარისკენ გაიქცა, მაგრამ ერთგულმა მსახურმა სტეფანემ ხელი ჰკრა და აცახცახებული ძაღლი კედელს მიეკრა.

_ მუმუ, მუმუ, მოდი ჩემთან, მოდი ქალბატონთან, _ უყვავებდა ქალბატონი, _ მოდი, შე სულელო... ნუ გეშინია...

_ მიდი, მიდი, მუმუ, ქალბატონთან, - იძახოდნენ შიმუნვარები, _ მიდი.

მაგრამ მუმუ გულშეღონებული იყურებოდა ირგვლივ და ადგილიდან არ იძროდა.

_ მოუტანეთ რამე საჭმელი, _ თქვა ქალბატონმა. _ რა სულელია, ქალბატონთან არ მიდის, რისი ეშინია?

_ ჯერ არ არის მიჩვეული, _ წარმოთქვა გაუბედავი, დაშაქრული ხმით ერთ-ერთმა შიმუნვარმა.

სტეფანემ ლამბაქით რძე მოიტანა და მუმუს წინ დაუდგა. მაგრამ მუმუმ არც კი დასუნა, ისევ ისე თრთოდა და თვალებს აცეცებდა.

_ ახ, რანაირი ხარ! _ თქვა ქალბატონმა, მიუახლოვდა და ხელის გადასმა მოუნდომა, მაგრამ შეშინებულმა მუმუმ თავი მოაბრუნა და კბილები დაკრიჭა. ქალბატონმა მარდად გასწია ხელი.

წუთით ყველა დადუმდა. მუმუმ ოდნავ დაიწკმუვლა, თითქოს თავს იმართლებდა, ბოდიშობდა... ქალბატონი გვერდზე გადგა და მოიღუშა. ძაღლის მოულოდნელმა მოძრაობამ შეაშინა იგი.

_ ოხ! _ ერთხმად შეჰყვირეს შიმუნვარებმა, _ ხომ არ გიკბინათ, ღმერთო დაგვიფარე! (მუმუს თავის ცხოვრებაში არავისთვის უკბენია) ოხ, ოხ!

_ გაიყვანეთ გარეთ, _ შეცვლილი ხმით ბრძანა მუხუცმა, _ საძაგელი ძაღლი! როგორი ავია!

მერე ნელა შემობრუნდა და თავისი კაბინეტისკენ გაემართა. შიმუნვარებმა კრძალვით გადახედეს ერთმანეთს და გაყოლა დააპირეს, მაგრამ მოხუცი შეჩერდა, ცივად შეავლო თვალი მათ და უთხრა: «ვითომ რათაო? მე ხომ არ მითხოვია?» _ და გავიდა.

გამწარებულმა შიმუნვარებმა სტეფანეს ანიშნეს და იმანაც სასწრაფოდ სტაცა ხელი მუმუს და გარეთ გასვა, პირდაპირ გერასიმეს მიუგდო ფეხებში. ნახევარი საათის შემდეგ სახლში ღრმა სიჩუმე სუფევდა და მოხუცი ქალბატონი სეტყვის ღრუბელზე უფრო მოღუშული იჯდა თავის დივანზე.

წარმოიდგინეთ, ზოგჯერ რა უმნიშვნელო რამე წაუხდენს ხოლმე ადამიანს გუნებას!

ქალბატონი საღამომდე უგუნებოდ იყო, ხმას არავის სცემდა, კარტს არ თამაშობდა და ღამეც ცუდად გაატარა. მოეჩვენა, რომ სულ სხვა ოდეკოლო-

ნი მიართვეს, რომ ბალიშს საპნის სუნი ასდიოდა, მეთეთრეულეს მთელი თეთრეული დაასუნინა _ ერთი სიტყვით, შფოთავდა და ჭირვეულობდა. მეორე დილით ბრძანა გავრილა ერთი საათით ადრე გამოეძახათ.

_ მითხარი, გეთაყვა, _ დაიწყო მან, როგორც კი შეშფოთებისაგან მობუტ-ბუტე სახლთუხუცესმა ფეხი შემოდგა კაბინეტში. _ ეს რა ძაღლი ყეფდა მთელი ღამე ჩვენს ეზოში? არ დამაძინა!

_ ძაღლი, ქალბატონო... რომელი... იქნებ, მუნჯის ძაღლი იყო, ქალბატონო, _ წარმოთქვა გავრილამ არცთუ ისე მტკიცედ.

_ არ ვიცი, მუნჯის იყო თუ არა, არ დამაძინა კია და. მე მიკვირს, რა საჭიროა ამდენი ძაღლი. მიბრძანეთ ერთი, ხომ გვყავს ეზოს ძაღლი?

_ რა თქმა უნდა, ქალბატონო, გვყავს, ვოლჩოკი.

_ მაშ, რაღა ამბავია, სხვა ძაღლი რაღად გვინდა? წესრიგის მოშლა შეგიძლიათ მხოლოდ. უფროსი აღარ არის სახლში და ეს არის. ან მუნჯს რაღად უნდა ძაღლი? ვინ მისცა ჩემს ეზოში ძაღლების ყოლის უფლება? გუშინ მივედი ფანჯარასთან და ვხედავ, ძაღლი წამოწოლილა ყვავილნარში, რაღაც საზიზღრობა მოუთრევია და ღრღნის _ მე კი იქ ვარდები მიდგას...

ქალბატონი გაჩუმდა.

_ დღესვე აქ აღარ დავინახო... გესმის?

_ მესმის, ქალბატონო.

_ დღესვე. ახლა წადი. მოსახსენებლად მერე გამოგიძახებ.

გავრილა გამოვიდა.

სასტუმროში გზადაგზა წესრიგისათვის ხელის ზარი ერთი მაგიდიდან მეორეზე გადადო, დარბაზში მალულად მოიხოცა თავისი იხვის ნისკარტივით ცხვირი და დერეფანში გამოვიდა. დერეფანში ტახტზე სტეფანეს ეძინა, ბატალურ სურათებზე რომ მოკლულ მებრძოლს ხატავდნენ, იმ პოზაში, შიშველი ფეხი საბნის მაგივრად გადაფარებული სერთუკის ქვეშიდან გაეწვართა. სახლთუხუცესმა გააღვიძა ლაქია და დაბალ ხმაზე რაღაც ბრძანება გადასცა, სტეფანე ნახევრად ამთქნარებდა, ნახევრად იცინოდა. ისე პასუხობდა. სახლთუხუცესი წავიდა, სტეფანე კი წამოხტა. გადაიცვა ხიფთანი, ჩექმებში ფეხი ჩაყო, გარეთ გამოვიდა და კართან გაჩერდა. ხუთი წუთი არ გასულა, რომ გერასიმე გამოჩნდა, ზურგზე შეშის უზარმაზარი გუდურა მოეგდო, განუყრელი მუმუც თან ახლდა (ქალბატონის განკარგულებით საწოლ ოთახს და სასტუმროს ზაფხულშიც ათბობდნენ). გერასიმე გვერდულად დადგა კარის წინ, მხარი ჰკრა და თავის ტვირთიანად სახლში შევიდა. მუმუ ჩვეულებისამებრ გარეთ დაელოდა პატრონს. სტეფანემ შეარჩია წამი და მოულოდნელად, როგორც ქორი წიწილას, ისე დააცხრა ძაღლს, მკერდით მიწას მიაკრა. ხელი მოხვია და კარტუზიც კი არ დაუხურავს, ისე გაარბენინა ეზოდან. ჩაჯდა პირველივე ეტლში და ოხოტნი რიადისკენ გაეშურა. იქ მალე იშოვა მუშტარი. ათ შაურად დაუთმო იმ პირობით, რომ ერთ კვირას მაინც ჰყოლოდა დაბმული, და მაშინვე გამობრუნდა, მაგრამ სახლამდე არ მისულა. ეტლიდან ჩამოვიდა, ეზოს უკანა შესახვევიდან შემოუარა და ღობეზე გადახტა: ჭიშკარში შესვლის შეეშინდა, გერასიმეს არ შევეფეთოო.

თუმცა ტყუილად წუხდა: გერასიმე უკვე შინ აღარ იყო. სახლიდან გამოვიდა თუ არა, მაშინვე მუმუს დაუწყო ძებნა. არ ყოფილა შემთხვევა ძაღლი

არ დალოდებოდეს მის გამოსვლას, ყველგან მოირბინა. ეძებდა, ეძახდა თავისებურად... შევარდა თავის სენაკში, საბძელში, ქუჩაში გამოვიდა _ აქეთ ეცა _ იქით ეცა, მაგრამ, ამაოდ... დაიკარგა! ხალხს აჩერებდა, განწირულის გამომეტყველებით ანიშნებდა, ეკითხებოდა ძაღლის შესახებ, მიწიდან ნახევარ არშინზე უთითებდა, თან ხელებით ხატავდა... ზოგმა მართლაც არ იცოდა, რა იქნა მუმუ და მხოლოდ თავს უქნევდნენ. სხვებმა იცოდნენ და პასუხად პირში უცინოდნენ, სახლთუხუცესმა კი განსაკუთრებით სერიოზული გამომეტყველება მიიღო და მეეტლეს დაუწყო ყვირილი. მაშინ გერასიმე ქალაქში გავარდა.

უკვე ბინდდებოდა, გერასიმე რომ დაბრუნდა. ისეთი დაქანცული სახე ჰქონდა, ისე ლასლასით მოდიოდა და ტანსაცმელიც ისე დაფარვოდა მტვრით, რომ ეტყობოდა, ნახევარი მოსკოვის შემორბენა მოესწრო. ბატონების ფანჯრების პირდაპირ შეჩერდა, თვალი შეავლო შესასვლელის წინ თავშეყრილ შვიდიოდე შინაყმას, შებრუნდა და კიდევ ერთხელ დაიზმუვლა: «მუმუ!» მაგრამ მუმუ არსად ჩანდა. გერასიმე გაეცალა იქაურობას. ყველამ თვალი გააყოლა, მაგრამ არავის გაღიმებია, არც არაფერი უთქვამთ... ცნობისმოყვარე ფორეიტორი ანტიპკა კი მეორე დილას სამზარულოში ყვებოდა, მუნჯი მთელი ღამე ოხრავდაო.

მეორე დღეს გერასიმე არ გამოჩენილა. ასე რომ, მის მაგივრად წყალზე მეეტლე პოტაპი უნდა წასულიყო, ამით პოტაპი უკმაყოფილო დარჩა. ქალბატონმა ჰკითხა გავრილას, შესრულებულია თუ არა ჩემი ბრძანებაო. გავრილამ უპასუხა, შესრულებულიაო. მეორე დილით გერასიმე თავისი სენაკიდან სამუშაოდ გამოვიდა. სადილად დაჯდა, შეჭამა და ისევ წავიდა. არავის მისალმებია: ყველა ყრუ-მუნჯის კვალობაზე ისედაც უსიცოცხლო მისი სახე თითქოს გაქვავებულიყო. ნასადილევს ისევ გავიდა ეზოდან. მაგრამ ცოტა ხნით. დაბრუნდა და მაშინვე საბძელს მიაშურა. დაღამდა, მთვარიანი, მოწმენდილი ღამე იყო. გერასიმე იწვა, მძიმედ ოხრავდა და განუწყვეტლივ ტრიალებდა. უცებ იგრძნო, თითქოს კალთაზე მოსწია ვიღაცამ; ლამის გული ამოუვარდა საგულედან. მაგრამ თავი არ აუწევია, თვალებიც კი დახუჭა: აი, ახლა კიდევ უფრო მაგრად მოსწია; გერასიმე წამოხტა... მის წინ ყელზე საბლის ნაწყვეტიანი მუმუ დახტოდა. სიხარულის გრძელმა ყვირილმა ამოხეთქა მუნჯის დადუმებული მკერდიდან; მუმუ ხელში აიტაცა და გულში მაგრად ჩაიხუტა; ძაღლმა ერთ წამში დაულოკა პატრონს ცხვირი, თვალები, წვერ-ულვაში... გერასიმე ცოტა ხანს იდგა დაფიქრებული, მერე ფრთხილად ჩამოვიდა სათივედან, მიიხედ-მოიხედა და როცა დარწმუნდა, რომ არავინ დაინახავდა, მშვიდობით შევიდა თავის ოთახში. გერასიმე ადრევე მიხვდა, რომ ძაღლი თავისით არ დაკარგულა, რომ ალბათ ქალბატონის ბრძანებით წაიყვანეს სადმე. შინაყმებმა აუხსნეს ნიშნებით, როგორ დაუღრინა მისმა მუმუმ ქალბატონს. მუნჯმა გადაწყვიტა, ზომები მიეღო. მუმუს პური აჭამა, მიუალერსა, დააწვინა და ფიქრებს მიეცა, მთელი ღამე ფიქრობდა, როგორ დაემალა იგი რაც შეიძლება საიმედოდ. ბოლოს გადაწყვიტა, მთელი დღე სენაკში ჰქოლოდა, მხოლოდ ხანდახან დაეხედა და ღამე გაესეირნებინა. საძრომი კარში თავისი ძველი არმიაკით მაგრად დაგმანა და ირიჟრაჟა თუ არა, უკვე კარში იყო, ვითომ აქაც არაფერიაო, სახეზე ისევ ის

უხალისობაც კი შეინარჩუნა (გულუბრყვილო ეშმაკობა!). საწყალ ყრუს აზრადაც არ მოსვლია, რომ მუმუ წკმუტუნით გასცემდა თავის თავს: მართლაც, მალე მთელმა სახლმა იცოდა, რომ მუნჯის ძაღლი დაბრუნდა და ჩაკეტილში უზის გერასიმეს, მაგრამ ძაღლი ეცოდებოდათ თუ მისი პატრონი, ნაწილობრივ ალბათ გერასიმეს შიშითაც, არ უმხელდნენ, რომ იცოდნენ მისი საიდუმლო. მარტო სახლთუხუცესმა მოიქექა თავი, მაგრამ ბოლოს იმანაც ხელი ჩაიქნია. «ჯანდაბას მაგის თავი! იქნებ ქალბატონმა ვერც შეიტყოს!» სამაგიეროდ არასოდეს მუნჯს ისე გულით არ უმუშავია, როგორც იმ დღეს: ეზო გამოგავა და გამოწმინდა, მთელი ბალახი სათითაოდ დათხარა, საკუთარი ხელით ამოაძრო ყვავილნარის ღობის სარები, შეამოწმა, მაგრები თუაო და შემდეგ თვითონვე ჩაასო. ერთი სიტყვით, ისე ცდილობდა, ისე ტრიალებდა, რომ ქალბატონმაც კი მიაქცია ყურადღება მის გულმოდგინებას. დღის განმავლობაში გერასიმემ ერთი-ორჯერ მალულად მიაკითხა თავის ტყვეს; როცა დაღამდა, მასთან ერთად დაწვა სენაკში და არა სათივეში და ღამის ორი საათი რომ დაიწყო, ძაღლთან ერთად სასეირნოდ გამოვიდა სუფთა ჰაერზე. დიდხანს ისეირნეს ეზოში და უკვე შინ დაბრუნებას აპირებდნენ, რომ ღობის გადაღმა, შესახვევის მხრიდან რაღაც ფაჩუნი გაისმა. მუმუმ ყურები ცქვიტა, დაიღრინა, ღობესთან მივიდა, დასუნა და მჭახე ხმით ხმამაღლა ყეფა გააბა. იქ ვიღაც მთვრალი მოკალათებულიყო და ეძინა. სწორედ ამ დროს ქალბატონი ის-ის იყო იძინებდა ხანგრძლივი «ნერვიული ღელვის» შემდეგ: ეს ღელვა მას ყოველთვის ძალზე ნაყიერი ვახშმის შემდეგ ემართებოდა. მოულოდნელმა ყეფამ გააღვიძა ქალბატონი; გული აუძგერდა და წამით გაუჩერდა. «გოგოებო, გოგოებო! _ დაიკვნესა მან. _ გოგოებო!» დაფეთებული გოგოები საწოლ ოთახში შეცვივდნენ. «ოხ, ოხ, ვკვდები! _ თქვა მან და უსასოოდ გაშალა ხელები. _ ისევ, ისევ ის ძაღლი!.. ოხ, ექიმს გამოუძახეთ, მაგათ ჩემი მოკვლა უნდათ... ძაღლი, ისევ ძაღლი! ოხ!» _ და თავი გადააგდო, რაც გულის წასვლას გამოხატავდა. გავარდნენ ექიმის, ესე იგი შინაური მკურნალის, ხარიტონის დასაძახებლად. ამ მკურნალის მთელი ხელოვნება ის იყო, რომ რბილ ლანჩიან ჩექმებს ატარებდა, დელიკატურად იცოდა პულსის გასინჯვა და ეძინა დღე-ღამეში თოთხმეტი საათი, დანარჩენ დროს განუწყვეტლივ ოხრავდა და წამდაუწუმ წყავის წვეთებს აწვდიდა ქალბატონს. მკურნალი მაშინვე მოვიდა და ბუმბულის ნატუსალი დააკმია. ქალბატონმა თვალი რომ გაახილა, დაუყოვნებლივ მიართვა ვერცხლის ლანგარზე დადგმული სანეტარო წვეთებიანი სირჩა. ქალბატონმა დალია. მაგრამ მაშინვე ცრემლნარევი ხმით ისევ დაიწყო ჩივილი ძაღლზე, გავრილაზე, თავის ხვედრზე, იმაზე, რომ, ყველამ მოიძულა საწყალი მოხუცი ქალი, რომ არავის ეცოდება, რომ ყველა მის სიკვდილს ნატრობს. მუმუ კი ყეფდა და ყეფდა. გერასიმე ამაოდ ცდილობდა მოეშორებინა ღობისთვის. «აი... აი... ისევ...» _ დაიკვნესა ქალბატონმა და ისევ გადაატრიალა თვალები. მკურნალმა გოგოს რაღაც წასჩურჩულა, გოგო დერეფანში გავარდა და სტეფანე გააღვიძა, სტეფანე გავრილას გასაღვიძებლად გაიქცა. გავრილამ კი ცხელ გულზე მთელი სახლი ფეხზე დააყენა.

გერასიმემ მოიხედა, დაინახა სინათლე და ჩრდილები ფანჯრებში და გულმა ავად დაუწყო ძგერა; მუმუს ხელი წაავლო, ამოიდო იღლიაში, შე-

ვარდა სენაკში და ჩაიკეტა. წუთიც და ხუთი კაცი მიეჯაჯგურა მის კარს, მაგრამ მიხვდნენ, რომ ურდულით იყო ჩაკეტილი და შეჩერდნენ. გავრილამ საშინლად აღელვებულმა მოირბინა, ბრძანა ყველანი აქ დარჩენილიყვნენ დილამდე და ედარაჯათ, მერე თვითონ საქალებოში შევარდა და უფროს მხლებელს ლიუბოვ ლიუბიმოვნას, ერთად რომ იპარავდნენ და ანგარიშობდნენ ჩაის, შაქარს და სხვა საბაყლო საქონელს, დაავალა მოეხსენებინა ქალბატონისთვის, რომ, სამწუხაროდ, ძაღლი ისევ მობრუნდა საიდანღაც, მაგრამ ხვალ უკვე ცოცხალი აღარ იქნება; ქალბატონმა მოიღოს მოწყალება, ნუ განრისხდება და დამშვიდდეს. ქალბატონი ალბათ ასე იოლად არ დაწყნარდებოდა, მაგრამ მკურნალმა იმ სიჩქარეში თორმეტი წვეთის ნაცვლად ბარე ორმოცი დაუსხა: წყავმა იმოქმედა და თხუთმეტი წუთის შემდეგ მოხუცი მშვიდად განისვენებდა; გერასიმე კი იწვა გადაფითრებული თავის ლოგინზე და მაგრად ჩაევლო ხელი დრუნჩში მუმუსთვის.

მეორე დილას ქალბატონმა საკმაოდ გვიან გაიღვიძა. გავრილა ელოდებოდა მის გაღვიძებას, რომ გერასიმეს თავშესაფარზე გადამწყვეტი იერიშის ბრძანება გაეცა, თავად კი ჭექა-ქუხილის შესახვედრად ემზადებოდა. მაგრამ ჭექა-ქუხილი არ ამტყდარა. ლოგინში მწოლმა ქალბატონმა ბრძანა უფროსი მხლებელი გამოეძახათ.

_ ლიუბოვ ლიუბიმოვნა, _ დაიწყო მან წყნარი და სუსტი ხმით; ქალბატონს ხანდახან უყვარდა ილაჯწართმეული და მიუსაფარი ტანჯულის გათამაშება; რაღა თქმა უნდა, ამ დროს სახლში არავინ იყო მოლხენილი. _ ლიუბოვ ლიუბიმოვნა, თქვენ ხედავთ, როგორ მდგომარეობაშიც ვარ: წადით, გეთაყვა, გავრილა ანდრეიჩთან, მოელაპარაკეთ: ნუთუ მისთვის რომელიღაც ძაღლი ქალბატონის სიმშვიდეზე, თვით მის სიცოცხლეზეც კი უფრო ძვირფასია? არ მინდა ეს დავიჯერო, _ დასძინა მან ღრმა გრძნობის გამომეტყველებით, _ წადით, გეთაყვა, ქენით სიკეთე, მიდით გავრილა ანდრეიჩთან.

ლიუბოვ ლიუბიმოვნა გავრილას ოთახისკენ გაეშურა. არ ვიცით, რაზე ლაპარაკობდნენ ისინი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ხალხი ჯგროდ მიემართებოდა ეზოს გავლით გერასიმეს სენაკისკენ. წინ გავრილა მიუძღოდა, კარტუზზე ხელი ედო, თუმცა ქარი არ იყო; მის გვერდით იყვნენ ლაქიები და მზარეულები; ფანჯრიდან ძია კუდი იყურებოდა და განკარგულებებს იძლეოდა. ესე იგი ხელებს იქნევდა მხოლოდ; ბოლოში ბაღლები ხტოდნენ და იმანჭებოდნენ; ნახევარი სხვა ეზოებიდან იყო. სენაკისკენ მიმავალ ვიწრო კიბეზე დარაჯი იჯდა; კიდევ ორი კართან იდგა, ჯოხით ხელში. კიბეს აყვნენ და მთელ სიგრძეზე ჩამწკრივდნენ. გავრილა კართან მივიდა, მუშტი დასცხო და დაიძახა:

_ გააღე.

გაისმა ჩახშული ყეფა, მაგრამ პასუხი არავის გაუცია.

_ გააღე გეუბნებიან! _ გაუმეორა მან.

_ გავრილა ანდრეიჩ, _ შენიშნა ქვევიდან სტეფანემ, _ ეგ ხომ ყრუა, არ ესმის.

ყველას გაეცინა.

_ მაშ, რა ვქნათ? _ იკითხა გავრილამ.

_ მაგას კარში ნახვრეტი აქვს, _ უპასუხა სტეფანემ. _ აიღეთ და ჯოხი შეუჩუჩხურეთ.

გავრილა დაიხარა.

_ რაღაც არმიაკით დაუგმანია ის ნახვრეტი.

_ არმიაკი შიგნით შეაგდეთ.

აქ ისევ გაისმა ყრუ ყეფა.

_ შეხე, შეხე, თვითონვე ამხელს თავს. _ შენიშნეს ბრბოში და ისევ გაიცინეს.

გავრილამ ყურის ძირი მოიქექა.

_ არა, ძმაო, შენ თვითონ შეტენე არმიაკი, თუ გინდა.

_ რატომაც არა, ინებეთ!

სტეფანე აძვრა ზევით, აიღო ჯოხი, შეაგდო სენაკში არმიაკი და ჯოხი ნახვრეტში შეუჩუჩხურა, თან იძახდა: «გამოდი, გამოდი!» _ ის ჯერ კიდევ ჯოხს ათამაშებდა, რომ სენაკის კარი უცბად გაიღო. მთელი გუნდი თავდაყირა გადმოეშვა კიბიდან. ყველაზე წინ გავრილა. ძია კუდმა ფანჯარა მიიხურა.

_ აბა, აბა, აბა, _ ყვიროდა გავრილა ეზოდან, _ დამაცადე, რა გიყო!

გერასიმე უძრავად იდგა ზღურბლზე. ბრბომ კიბის თავში მოიყარა თავი. გერასიმე ზემოდან გადმოჰყურებდა გერმანულ ხიფთანებში გამოწყობილ ამ კაცუნებს. ორივე ხელით დოინჯი შემოედგა; თავის წითელ გლეხურ პერანგში მათ შორის გოლიათივით ჩანდა. გავრილამ ნაბიჯი გადმოდგა წინ.

_ შენ, ჩემო ძმაო, ჭკვიანად იყავი, _ უთხრა მან გერასიმეს და ნიშნებით დაუწყო ახსნა, ქალბატონი დაბეჯითებით მოითხოვს შენს ძაღლსო; ახლავე მომგვარე, ახლავე მოიყვანე, თორემ ცუდად იქნება შენი საქმეო.

გერასიმემ გავრილას შეხედა, მერე ძაღლზე ანიშნა, ყელზე ხელი მოივლო. თითქოს ზედ მარყუჟს ისკვნიდა, და შეკითხვის გამომხატველი თვალები შეავლო სახლთუხუცესს.

_ ჰო, ჰო, _ დაუდასტურა გავრილამ თავის დაქნევით, _ ჰო, აუცილებლად.

გერასიმემ თვალები დახარა, მერე უცებ გამოერკვა. ისევ აჩვენა მუმუზე, განუშორებლად რომ იდგა მის გვერდით, გულუბრყვილოდ აქიცინებდა კუდს და ინტერესით აცქვეტდა ყურებს, გაიმეორა დახრჩობის ნიშანი თავის ყელზე და მაგრად ჩაირტყა მკერდში მჯიღი, როგორც ჩანს აცხადებდა, რომ მე თვითონ ვკისრულობ მუმუს მოკვლასო.

_ მომატყუებ, _ ეცა გავრილა.

გერასიმემ შეხედა, ამყად გაიღიმა, ისევ დაიკრა მკერდზე მჯიღი და კარი მიიკეტა.

ყველამ უხმოდ გადახედა ერთმანეთს.

_ ეს რაღას ნიშავს? _ დაიწყო გავრილამ. _ ჩაიკეტა?

_ გაანებეთ თავი, გავრილა ანდრეიჩ, _ თქვა სტეფანემ, _ რახან შეგპირდათ, შეასრულებს. ეგეთია... თუ შეგპირდა, ნაღდია. ამ საქმეში ჩვენისთანებს კი არა ჰგავს. რაც მართალია, მართალია. ჰო.

_ ჰო, _ დაუდასტურა ყველამ თავის ქნევით. _ აგრეა, აგრე.

ძია კუდმაც გამოაღო ფანჯარა და თქვა: «ჰო».

_ აგრე იყოს, ვნახოთ, _ თქვა გავრილამ, _ მაგრამ ყარაულს მაინც ნუ მოხსნით. ეი, შენ, ეროშკა! _ მიმართა მან ნაშურის კაზაკურიან ფერმკრთალ კაცს, რომელიც მებაღედ ითვლებოდა, _ მეტი რა საქმე გაქვს, დაიკავე ჯოხი და იჯექი აქ, თუ რამე ისეთი იქნა, მაშინვე ჩემთან გამოიქეცი!

ეროშკამ ჯოხი აიღო და ჩაცუცქდა კიბის ბოლოში. თითო-ოროლა ცნობისმოყვარისა და ბალღების გარდა, ყველა წავიდ-წამოვიდა. გავრილაც დაბრუნდა შინ და ბრძანა, ლიუბოვ ლიუბიმოვნას პირით მოეხსენებინათ ქალბატონისთვის, ყველაფერი შესრულებულიაო. ყოველი შემთხვევისათვის ფორეიტორი მაინც გააგზავნა ჩაფართან. ქალბატონმა ცხვირსახოცი გამონასკვა, ზედ ოდეკოლონი დაასხა, უყნოსა, საფეთქლები დაიზილა, ჩაი მიირთვა და, რაკი ისევ წყავის წვეთების გავლენის ქვეშ იყო, ისევ დაიძინა.

ამ ამბების შემდეგ ერთი საათი იქნებოდა გასული, რომ სენაკის კარი გაიღო და გერასიმე გამოჩნდა. საგარეო ხიფთანი ეცვა; საბლით მუმუ მოჰყავდა. ეროშკამ ჩაიწია და გზა მისცა. გერასიმე ჭიშკრისკენ გაემართა. ბალღებმა და ყველამ, ვინც ეზოში იყო, უხმოდ გააყოლეს თვალი. არც კი მოუხედავს; ქუდი მხოლოდ ქუჩაში დაიხურა. გავრილამ ისევ ის ეროშკა გააყოლა უკან, სათვალთვალოდ.

ეროშკამ შორიდან დაინახა, როგორ შევიდა მუნჯი ძაღლთან ერთად სამიკიტნოში და დაელოდა მის გამოსვლას.

სამიკიტნოში გერასიმეს იცნობდნენ და მის ნიშნებსაც ხვდებოდნენ. ხორციანი შჩი მოითხოვა. დაჯდა და ხელებით მაგიდას დაეყრდნო. მუმუ მის სკამთან იდგა და მშვიდად უცქეროდა პატრონს თავისი ჭკვიანი თვალებით, ბეწვზე მზე გადასდიოდა: ეტყობოდა, რომ ახალდავარცხნილი იყო. შჩი მოიტანეს. გერასიმემ შიგ პური ჩაფხვნა, ხორცი წვრილად დაჭრა და თეფში იატაკზე დადგა. მუმუ ჩვეული მოკრძალებით შეუდგა ჭამას, ტუჩით ოდნავ ეხებოდა საჭმელს, გერასიმე დიდხანს უცქეროდა ძაღლს. უცებ ორი მძიმე კურცხალი გადმოუგორდა თვალიდან: ერთი ძაღლს დაეცა დაქანებულ შუბლზე, მეორე შჩიში ჩავარდა. მუნჯმა ხელი აიფარა სახეზე. მუმუმ ნახევარი თეფში შეჭამა და ტუჩის ლოკვით გვერდზე გადგა. გერასიმე ადგა, შჩის საფასური გადაიხადა და გამოვიდა. ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა მსახურმა თვალი გამოაყოლა. ეროშკამ დაინახა გერასიმე, კუთხეს მოეფარა, მუნჯი წინ გაუშვა და ისევ გაჰყვა კვალდაკვალ.

გერასიმე აუჩქარებლად მიდიოდა, მუმუ საბლით მიჰყავდა. ქუჩის კუთხემდე რომ მივიდა, გაჩერდა, თითქოს რაღაცაზე დაფიქრდა და უცებ სწრაფი ნაბიჯით გასწია პირდაპირ ყირიმის ფონისაკენ. გზადაგზა ერთ ეზოში შევიდა, აქ ფლიგელს უშენებდნენ სახლს; გერასიმემ ორი აგური აიღო, იღლიის ქვეშ ამოიდო და გარეთ გამოვიდა. ყირიმის ფონიდან ნაპირ-ნაპირ დაუყვა. ერთ ადგილას მივიდა, აქ ორი ნიჩბიანი ნავი იყო პალოზე გამობმული (ადრევე ჰქონდა შენიშნული). გერასიმე ერთ-ერთ მათგანში ჩახტა მუმუსთან ერთად. ბოსტნის კუთხეში მდგარი კარვიდან კოჭლი ბერიკაცი გამოვიდა და რაღაც დაუყვირა, მაგრამ გერასიმემ მხოლოდ თავი დაუქნია და ისე გამალებით დაიწყო ნიჩბის მოსმა მდინარის აღმა, რომ რაღაც წამებში ერთ ას საჟენზე გავიდა. ბერიკაცი ერთხანს იდგა. მერე მოიქექა

ზურგი ჯერ მარცხენა, შემდეგ მარჯვენა ხელით და კოჭლობით ისევ შებრუნდა კარავში.

გერასიმე კი გამალებით უსვამდა ნიჩბებს. აი უკვე მოსკოვიც უკან დარჩა. ნაპირებზე გადაიშალა მდელოები, ბოსტნები, ველ-მინდვრები, ჭალები, ქოხები. სოფლის სუნი ეცა. გერასიმემ დაყარა ნიჩბები, თავით მუმუს დაემხო და გაირინდა, მძლავრი ხელები ძაღლის ზურგზე ელაგა ჯვარედინად. ნავი წყალს ისევ ქალაქისკენ მიჰქონდა. ბოლოს გერასიმე გაიმართა, სახეზე რაღაც ავადმყოფური გაბოროტება გამოეხატა. აჩქარებით დაახვია აგურებს თოკი, გასკვნა მარყუჟი და მუმუს კისერზე ჩამოაცვა, მერე ხელში აიყვანა და უკანასკნელად შეხედა... ძაღლი ნდობით შეჰყურებდა, ოდნავ აქიცინებდა კუდს. გერასიმე შებრუნდა, თვალები დახუჭა და ხელები გაშალა... არაფერი გაუგონია, არც ხანმოკლე შეწკმუვლება, არც წყლის მძიმე დგაფუნი; ყველაზე ხმაურიანი დღეც კი მდუმარე იყო მისთვის, არც ერთი წყნარზე წყნარი ღამე არ შეიძლება გვეჩვენოს ჩვენ ასე მდუმარედ. როცა კვლავ გაახილა თვალი, მდინარის პატარ-პატარა ტალღები ისევ ისე მიისწრაფოდნენ, თითქოს მისდევდნენ ერთმანეთს. ისევ ისე ეტყლაშუნებოდნენ ნავის გვერდებს, და მხოლოდ შორს უკან ნაპირისაკენ მიიწევდნენ რაღაც ფართო რკალები.

როგორც კი გერასიმე თვალს მოეფარა, ეროშკა შინ დაბრუნდა და რაც ნახა, ყველაფერი მოყვა.

_ კი, შენიშნა სტეფანემ. _ დაახრჩობს. შეგიძლიათ არხეინად იყოთ. თუ თქვა...

მთელი დღე არავის უნახავს გერასიმე. სახლში არ უსადილია. მოსაღამოვდა, ვახშმად დაჯდა ყველა, ის კი არსად ჩანდა.

_ რა უცნაურია ეს გერასიმე! _ დაიწრიპინა სქელმა მრეცხავმა ქალმა, _ ძაღლის გულისთვის შეიძლება ასე ეწამო!.. რა მოხდა!

_ გერასიმე აქ იყო, _ წამოიძახა უცბად სტეფანემ და ფაფაში კოვზი ჩაყო.

_ როგორ? როდის?

_ აი ამ ორი საათის წინ. როგორ არა, ჭიშკართან შემხვდა: ისევ გადიოდა ეზოდან. მინდოდა ძაღლის ამბავი მეკითხა, ეტყობა, არ იყო გუნებაზე და ხელი მკრა; ალბათ ჩემი გზიდან ჩამოშორება უნდოდა: ვითომ, ჩამომეხსენო, მაგრამ ისეთი დიდებული ქოთაქი მომდო ხერხემლის ძარღვში, ისე ბარაქიანად, რომ შენი მოწონებული! _ სტეფანე უნებლიე ღიმილით მოიკუნტა და კისერზე ხელი მოისვა. _ ჰო, _ დასძინა მან, _ რა ხელი აქვს, პირდაპირ ნაკურთხი ხელი, ვერაფერს იტყვი!

სტეფანეს სიტყვებზე ყველას გაეცინა. ნავახშმევს დასაძინებლად წავიდწამოვიდნენ.

ამასობაში ტ-ის გზაზე ტომარამოგდებული და გრძელი ჯოხით ხელში გულმოდგინედ, შეუსვენებლად მიაბიჯებდა ვიღაც გოლიათი, ეს იყო გერასიმე, უკანმოუხედავად მიიჩქაროდა შინისკენ, თავის სოფლისკენ, სამშობლოსაკენ. საბრალო მუმუ რომ დაახრჩო, თავის სენაკში შევარდა, ხელდახელ გამოკრა ძველ ჩულოში, რაც გააჩნდა. ზურგზე მოიგდო და ეზოდან გაიჭრა. მოსკოვში რომ მიჰყავდათ, გზა ჯერ კიდევ მაშინ დაიმახსოვრა კარგად. სოფელი, საიდანაც იგი ქალბატონმა წაიყვანა, შარაგზიდან ოცდახუ-

თიოდ ვერსზე იყო. რაღაცნაირი თავგანწირვით მოაბიჯებდა, კლდესავით ურყევი და ფრთაშესხმული; გული გაეღეღა, ხარბად იყურებოდა წინ. მიიჩქაროდა, თითქოს მოხუცი დედა ელოდებოდა მშობლიურ კერასთან, უხმობდა უცხო მხარეში, უცხო ხალხში ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ მობრუნებულს... ის-ის იყო დაესადგურა ზაფხულის თბილ და წყნარ ღამეს. იმ მხარეზე, სადაც მზე ჩაესვენა, თეთრ ცისკიდურს ჯერ კიდევ შემორჩენოდა მილეული დღის შუქი და ოდნავ ვარდისფრად ციმციმებდა, იქ, საიდანაც ღამე მოიწევდა, უკვე ჩამოწოლილიყო მოვერცხლისფრო ლურჯი ბინდი. ათასობით მწყერი ჭექდა ირგვლივ, ღალღების გადაძახილს ბოლო არ ჰქონდა... გერასიმეს არ შეეძლო გაეგონა მათი ხმა, ასევე არ შეეძლო მოესმინა იმ ხეების ღამეული ჩურჩული, რომელთა სიახლოვეს მუნჯმა თავისი ძლიერი ფეხებით ჩაიარა, მაგრამ იგი გრძნობდა, როგორ მოდიოდა ბნელი მინდვრებიდან სიმწიფეში შესული ჭვავის ნაცნობი სუნი, გრძნობდა, როგორ სცემდა ალერსით სახეში სამშობლოდან მონაქროლი ქარი, როგორ უფრიალებდა თმას, წვერს; ხედავდა თვალწინ თეთრად მოელვარე გზას _ შინისკენ მიმავალ, ისარივით სწორ გზას, ხედავდა ცაში აუარებელ ვარსკვლავს, გზას რომ უნათებდნენ ეულს, და მიაბიჯებდა ლომივით მძლავრად და ხალისიანად, ისე რომ, როცა მზემ თავისი დანაშაული წითელი სხივი სტყორცნა მოძრაობის ეშხში შესულ ვაჟკაცს, იგი უკვე მოსკოვიდან ოცდათხუთმეტ ვერსზე იყო...

ორი დღის შემდეგ გერასიმე უკვე თავის ქოხს მიადგა. იქ ჩასახლებული ჯარისკაცის ცოლს ძალიან გაუკვირდა მისი გამოჩენა. გერასიმემ ხატებზე ილოცა და მაშინვე გაემართა მამასახლისთან. მამასახლისმა ჯერ გაიოცა, მაგრამ სწორედ თიბვა იწყებოდა და გერასიმეს, როგორც ჩინებულ მუშას, მაშინვე ცელი მისცეს ხელში. ისიც ძველებურად შეუდგა საქმეს. გლეხები მოჯადოებულნი უცქეროდნენ, როგორ იქნევდა ცელს და როგორ ბარაქიანად აწვენდა ბალახს...

მოსკოვში მეორე დღესვე მოიკითხეს გერასიმე. შევიდნენ მის საკანში, გაჩხრიკეს, მოახსენეს ყველაფერი გავრილას. გავრილა მოვიდა, დახედა, მხრები აიჩეჩა და გადაწყვიტა, მუნჯი ან გაიქცა, ან თავის სულელ ძაღლთან ერთად დაიხრჩოო. შეატყობინეს პოლიციას, მოახსენეს ქალბატონსაც. ქალბატონი განრისხდა, ატირდა, ბრძანა, რადაც უნდა დაჯდომოდათ, მოეძებნათ. ირწმუნებოდა, მე არასდროს მიბრძანებია, ძაღლი მოკალითო, და ბოლოს ისე გაჯორა გავრილა, რომ სახლთუხუცესი მთელი დღე თავს აქიცინებდა და ბუტბუტებდა: «მაშ!» _ სანამ ძია კუდმა არ დააშოშმინა: «მააშ!» ბოლოს სოფლიდან მოვიდა გერასიმეს იქ ჩასვლის ამბავი და ქალბატონიც ცოტათი დამშვიდდა: ჯერ უნდოდა ბრძანება გაეცა მისი დაუყოვნებლივ მოსკოვში დაბრუნების შესახებ. მაგრამ შემდეგ განაცხადა, ასეთი უმადური ადამიანი სულაც არ მჭირდებაო. ამ ამბების შემდეგ მალე თვითონაც მოკვდა; მის მემკვიდრეებს კი გერასიმეს დარდი არ ჰქონდათ: იმათ ქალბატონის სხვა ყმებიც გაუშვეს ბეგარაზე.

გერასიმე აქამდე ბერბიჭად ცხოვრობს თავის ქოხში; ძველებურად ჯანღონით არის სავსე და ძველებურად ოთხი კაცის საქმეს უთავდება. ისევ ისეთი დინჯი და აუჩქარებელია, მაგრამ მეზობლებმა შეამჩნიეს, რომ მოს-

კოვიდან დაბრუნების შემდეგ ქალებს აღარ ეკარება, ზედაც აღარ უყურებს და არც ძაღლს იჩერებს. «ბედნიერი კაცია, _ ამბობენ გლეხები, _ ქალები არ სჭირდება; ძაღლი კი _ რად უნდა ძაღლი? მის ეზოში ქურდს თოკით ვერ შეათრევ!» ასეთი ხმები დადის მუნჯის გოლიათურ ძალ-ღონეზე.